სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 აგვისტო, 2026 წ.

ბრძანება №01-02/159

2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის", „იმ საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვთ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს" **საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მაისის №212 დადგენილების,** ,,საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წესისა და პირობების დადგენის შესახებ" **საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 ივლისის №359 დადგენილების,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", **,,ბსუ-ს 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის** დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/125 დადგენილების, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 25 აგვისტოს №1091971 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ბსუ-ს პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული **აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:**

1.1. **აბიტურიენტთა** (შემდეგში - **პირველსემესტრელების) ბსუ-ში რეგისტრაცია** (პირადი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ხელშეკრულების გაფორმება და პირადი საქმის გახსნა) **განხორციელდეს** ბსუ-ს **ფაკულტეტების მიხედვით,** 2026 წლის **7 სექტემბრიდან 18 სექტემბრის ჩათვლით** (შაბათ-კვირის გარდა), **10:00 საათიდან 17:00 საათამდე** (რეგისტრაციის ადგილი: ბსუ-ს I კორპუსი - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, I სართული, მცირე სპორტული დარბაზი), **შემდეგი განრიგით:**

ა) 2026 წლის **7 სექტემბერი - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის** საგანმანათლებლო **პროგრამებზე** („მათემატიკა", „ფიზიკა", „კომპიუტერული მეცნიერება" (180 კრედიტი), „სკოლამდელი განათლება" (180 კრედიტი));

ბ) 2026 წლის **8 სექტემბერი** - ბსუ-ს **ტექნოლოგიური ფაკულტეტის** საგანმანათლებლო **პროგრამებზე** („აგრარული ტექნოლოგიები" (180 კრედიტი), „არქიტექტურა", „ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტინჟინერია" (180 კრედიტი), „მშენებლობა", „ნავთობისა და გაზის ინჟინერია" 180 კრედიტი, „სურსათის ტექნოლოგია");

გ) 2026 წლის **9 სექტემბერი - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის** საგანმანათლებლო **პროგრამებზე** („ბიოლოგია“, „ეკოლოგია“ (180 კრედიტი), „გეოგრაფია“ (180 კრედიტი), „ქიმია“, „ფარმაცია“, „ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია“, „მედიცინა“, „სტომატოლოგია“);

დ) 2026 წლის **10 სექტემბერი** - ბსუ-ს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის** საგანმანათლებლო **პროგრამებზე (**„ქართული ფილოლოგია“ (180 კრედიტი), „ისტორია“ (180 კრედიტი), „ინგლისური ფილოლოგია“ (180 კრედიტი), „გერმანული ფილოლოგია“ (180 კრედიტი), „რომანული ფილოლოგია“ (180 კრედიტი), „სლავური ფილოლოგია“ (180 კრედიტი), „თურქოლოგია“ (180 კრედიტი), „ფილოსოფია“ (180 კრედიტი), „არქეოლოგია“ (180 კრედიტი), „ჟურნალისტიკა“ (180 კრედიტი), „ქართულ ენაში მომზადების (აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის) საგანმანათლებლო პროგრამა“);

ე) 2026 წლის **11 სექტემბერი - ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** საგანმანათლებლო პროგრამებზე („სამართალმცოდნეობა“ (180 კრედიტი), „ევროპისმცოდნეობა“ (180 კრედიტი), „ფსიქოლოგია“ (180 კრედიტი), „საერთაშორისო ურთიერთობები“ (180 კრედიტი), „საჯარო მმართველობა“ (180 კრედიტი));

ვ) 2026 წლის **14 სექტემბერი - ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის** „ტურიზმის“ (180 კრედიტი) საგანმანათლებლო **პროგრამაზე.**

ზ) 2026 წლის **15-16 სექტემბერი - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის** საგანმანათლებლო **პროგრამებზე** („ბიზნესის ადმინისტრირება“ (180 კრედიტი), „ფინანსები“ (180 კრედიტი) და „ეკონომიკა“ (180 კრედიტი));

თ) 2026 წლის **17-18 სექტემბერი -** ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აბიტურიენტებისათვის.

1.2. ბსუ-ში რეგისტრაციისათვის აბიტურიენტმა **მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს** (რეგისტრაციის ადგილი: ბსუ-ს I კორპუსი - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, I სართული, მცირე სპორტული დარბაზი)**:**

ა) პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

ბ) ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ) 2 ცალი ფოტოსურათი (3x4);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);

ე) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) არასრულწლოვანი აბიტურიენტის შემთხვევაში - დაბადების მოწმობა (თუკი მშობელი წარმოადგენს სარეგისტრაციო დოკუმენტებს, ხოლო სხვა კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში - ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა).

1.3. დამტკიცდეს პირველსემესტრელთა რეგისტრაციისათვის **სამუშაო ჯგუფის** (მიმღები **კომისია)** შემადგენლობა, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.

2. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის ბსუ-ს სტრუქტურულმა ერთეულებმა უზრუნველყოს:

2.1. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა:

ა) წინამდებარე ბრძანების შესაბამისი განცხადების ტექსტის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე და ბსუ-ს ფეისბუქის გვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისათვის მიწოდება, ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად;

ბ) აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესის წარმართვა, სამუშაო ჯგუფის (მიმღები კომისიის) მუშაობის კოორდინაცია, მათ შორის ბსუ-ში მოქმედი რეგულაციების, ბსუ-ს პორტალის და ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევის შესახებ აბიტურიენტთათვის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის გაცემის პროცესის კოორდინაცია (ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, სექსუალური შევიწროების პოლიტიკის, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის, ბსუ-ს სტუდენტთა უფლებებისა და მოვალეობების, სტუდენტურ თვითმმართველობაში/სხვადასხვა სტუდენტურ გაერთიანებებში/კლუბებში გაწევრიანების შესახებ, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო, მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობის, საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესისა და ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევში აღნიშნული სხვა სამართლებრივი აქტების შესახებ);

გ) აბიტურიენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება; პირადი საქმეების გახსნა; ელექტრონული პირადი საქმეების შექმნა და სტუდენტთა ელექტრონულ სერვისებზე (ბსუ-ს პორტალი) შესაბამის პროფილში განთავსება; შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისისათვის მიწოდება და პირველსემესტრელთათვის აკადემიური რეგისტრაციის შესახებ კონსულტაციის გაწევა (შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისის დასაქმებულთან - სამუშაო ჯგუფის შესაბამის წევრთან ერთად);

დ) დარეგისტრირებული აბიტურიენტების სახელობითი სიისა და მათი ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;

2.2. ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით (ტექნიკითა და ქსელით) აღჭურვა, კერძოდ: ნოუთბუქი - 10 ცალი; კომბინირებული პრინტერი - 4 ცალი (შევსებული კატრიჯებით); ფოტო სკანერის მოწყობა - 4 ცალი; გამართული ინტერნეტ კავშირი (კაბელით); WIFI.

2.3. ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტმა - ბსუ-ს მცირე სპორტულ დარბაზში (ბსუ-ს I კორპუსი - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, I სართული) 10 სამუშაო მაგიდისა და დროებითი თაროების მოწყობა;

2.4. ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურმა - აბიტურიენტთა ნაკადის (რიგის) ადმინისტრირება;

2.5. ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა - აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადების შესახებ განცხადების ტექსტის განთავსება ბსუ-ს ვებგვერდზე და ბსუ-ს ფეისბუქის გვერდზე.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (გ. ქათამაძე).

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,რექტორის ბრძანებები"), ფაკულტეტებისა და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) საინფორმაციო დაფებზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ

დეპარტამენტს, დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტებს და სამუშაო ჯგუფის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. № 30) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 აგვისტოს № 01-02/159 **ბრძანების**

დანართი № 1

2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების

(პირველსემესტრელების)

რეგისტრაციისათვის სამუშაო ჯგუფის (მიმღები კომისია) **შემადგენლობა:**

1. ამირან შარაძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი;
2. ლევან ტარიელაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი;
3. თამთა ქარცივაძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
4. მზია დიასამიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
5. გვანცა დიასამიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის, სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;
6. რევაზ ოკუჯავა - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
7. სალომე ჯინჭარაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
8. გოგა ბაუჟაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
9. თეონა დუმბაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;
10. შალვა შალიკაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;
11. ხატია უმეთაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტაჟიორი;
12. როსტომ შამანაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტაჟიორი;
13. ლევან გორგაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტი;
14. ნიკოლოზ მიქაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტი;
15. ლამზირა ფაღავა - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
16. ცირა აბულაძე - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;

17. ინგა ხოროიშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი;
18. ლიანა ბერაია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
19. თამარ ბერიძე - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
20. ირმა ჭიჭინაძე - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
21. ნინო მჟავანაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი;
22. გულნარა დიასამიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის სპეციალისტი;
23. ლუიზა რუხაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
24. სოფიკო ანსიანი - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი;
25. ლალი რესულიძე - საბუნებისმეტყველო მენიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
26. ნინო ცინცაძე - საბუნებისმეტყველო მენიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
27. ხათუნა გორგილაძე - ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
28. მადონა ფუტკარაძე - ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
29. გვანცა ზოიძე - ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე;
30. სალომე ქოქოლაძე - ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი;